ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2024 წლის 13 თებერვალი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აგვისტოს №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აგვისტოს №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/08/2022 010250050.35.137.016581), კერძოდ:

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი

1. ბენეფიციარი ოჯახის/პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემოწმება განხორციელდება ყოველწლიურად ბენეფიციარის მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ან/და კომისიის მიერ გამოთხოვილი შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან, სოციალური სარეიტინგო ქულის შესახებ;

ბ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების მონაცემების შესახებ;

გ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სხვა დოკუმენტი რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს ამ წესის 4-ე მუხლით განსაზღვრული ფუნქციის შესასრულებლად.

2. ბენეფიციარი ოჯახის/პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით კომისია უფლებამოსილია წლის განმავლობაში პერიოდულად ადგილზე გადაამოწმოს ბენეფიციარი ოჯახი/პირი.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**